ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №39

16 აგვისტო, 2024 წელი
14:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვლადიმერ ბოჟაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი: №19/032422817-03; 15.08.2024)** ბერი გაბრიელ აღმსარებლის (ურგებაძე) მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

მომხსენებელი: ელდარი ურგებაძე

თანამდებობა: განმცხადებელი

2. საკითხი: განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა **(წერილი: №19/032422161-03; 08.08.2024)** რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

მომხსენებელი: ლილი (ბაია) ამაშუკელი

თანამდებობა: განმცხადებელი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა ბერი გაბრიელ აღმსარებლის (ურგებაძე)

მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, გაბრიელი, (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, მართლმადიდებელ ეკლესიაში — წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი, ქართველი სასულიერო პირი (არქიმანდრიტი) და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. მამა გაბრიელი იყო ერთ-ერთი იშვიათი ადამიანი, ვინც კომუნისტების დროს ბერად აღიკვეცა და ტაძარი ააგო. 1965 წელს 1 მაისს კომუნისტური აღლუმის დროს დაწვა ლენინის12-მეტრიანი პორტრეტი. დაკითხვაზე მამა გაბრიელმა განაცხადა: „იქ უნდა ეკიდოს ქრისტეს ჯვარცმა და არა ლენინის სურათი. კაცს რად უნდა დიდება. უნდა ეწეროს: დიდება ქრისტე ღმერთს“. მას უპირობო დახვრეტის მუხლი მიუყენეს. კომუნისტური რეჟიმის მესვეურები მისგან მოითხოვდნენ, ეღიარებინა, რომ ყოველივე ეკლესიის დავალებით ჩაიდინა, სანაცვლოდ კი სიცოცხლის შენარჩუნებას სთავაზობდნენ. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების მიუხედავად, გაბრიელ ბერს პოზიცია არ შეუცვლია. პირიქით, მორიგ დაკითხვაზე ლენინი კვლავ მხეცად მოიხსენია, რის გამოც ის კვლავ სცემეს და აწამეს. ეს ამბავი უცხოეთის პრესისთვის არ დარჩენილა შეუმჩნეველი და ევროპისა და ამერიკის ჟურნალ-გაზეთებით ფართოდ გავრცელდა. მამა გაბრიელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას უკიდურესად არაჰუმანურად ეპყრობოდნენ. მამა გაბრიელი ბოლო წლებში ცხოვრობდა მცხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ, მეფე მირიან III-ის კოშკში. 1995 წელს ბერი წყალმანკით მძიმედ დაავადდა. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს პატრიარქმა ილია II -მ გაბრიელ ბერი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა. 1995 წლის 2 ნოემბერს არქიმანდრიტი გაბრიელი გარდაიცვალა. იგი ანდერძისამებრ დაიკრძალა ბერ-მონაზვნური წესით ჭილოფში გახვეული, მცხეთის დედათა მონასტრის სასაფლაოზე. მორწმუნეთა გადმოცემით არქიმანდრიტი გაბრიელის სისხლი, რომელიც ექიმმა-ქირურგმა ზურაბ ვარაზაშვილმა აიღო ანალიზის ჩასატარებლად დღემდე უხრწნელია. მორწმუნეთა გადმოცემით, მამა გაბრიელის საფლავზე ჩაუქრობელი კანდელიდან აღებული ზეთი სასწაულებრივი კურნების თვისებით არის ცნობილი, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ელდარ ურგებაძეს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა კომისიას განცხადებაზე დროული რეაგირებისთვის.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ბერი გაბრიელ აღმსარებლის (ურგებაძე) მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა, ლილი (ბაია) ამაშუკელს, რომლის განცხადებითაც რეზო ამაშუკელი იყო საზოგადო მოღვაწე; გალაკტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას, შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის პრემიების მფლობელი; ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორდენის მფლობელი; დაჯილდოვებულია კავკასიაში მეგობრობის (ქართულ-ოსური მისიის) ვარსკვლავით (ღირსების ნიშნით); მიღებული აქვს შევალიეს წოდება; ალბერტ შვაიცერის მედალის მფლობელი; თბილისის საპატიო მოქალაქე; საპატრიარქოს მწინდა გიორგის ორდენის (N10) მფლობელი.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ვლადიმერ ბოჟაძემ.

ვლადიმერ ბოჟაძე მიესალმა კომისიის წევრებსა და და დამსწრე საზოგადოებას. მისი განცხადებით ის მიესალმება პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის განთავსების გადაწყვეტილებას და მადლობა გადაუხადა ამ პროცესში ჩართულ თითოეულ პირს.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე